№ 58 სახალხო გაზეთი № 58

პარასკევი, 16 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

СВИТ მხოლოდ ნადუღი წყალი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეძირება.

**** **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წ. ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ტფ. ქალაქის მოურავის**

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს; პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $7^1/_2$ ს. განსვენებულის ბინაზე (ელისაბედის ქ. № 108). მიცვალებულს გაასვენებენ სიონის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის ეზოში. (3—6.—1)

შვილები, ძმები, დები და სიძე თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წუთ. გარდაიცვალა

თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $7^1/_2$ ს საკუთარ ბინაზე (ელისაბედის ქ. № 108). მიცვალებულს გაასვენებენ სიონის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის ეზოში. (3—6.—1)

თ-დი აქვსენტი ფალავა მეუღლით და შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 17 ივლისს ნახუნაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება **ორმოცი წირვა და პანაშვიდი** მათი ძვირფასი შვილის.

ვანიკო ფალავას

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. (1—ფ—1)

თ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, კნ. ნინო ივანეს ასული თუმანიშვილები და კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამირხვრისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ახლად გარდაცვალებულის პირველთა—შვილის, ხოლო მეორის—შვილი-შვილის

ს ა შ ა ს

გვამის გამოსვენება მოხდება დღეს 16 ივლისს, დილის 9 საათზე, საკუთარ ბინიდან ტატიანას ქ., საკუთარ სახლიდან, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—349—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიის ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დე გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ქირ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი გ. მ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (200—6.—228)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ. (ცხვირ და) ყოველ დღე 12—1 ს.

ი. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო—6.—389)

ს გ უ რ ჯ ა ა ნ ი

შაბათს, 17 ივლისს 1910 წელს.

გურჯაანის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება მხიარული

საღამო-არიფანა

მრავალის გასართობებით, სხვათა შორის გამოჩენილი **შანტეკლერი**, და დიდის დივერტისმენტით, წარმოადგენენ ჭავჭავაძის „**დედა და შვილს**". დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი. ბუფეტი და ბოლოს ვახშამი.

მონაწილეობენ: სარაჯიშვილი, აბაშიძე, ჯიბლაძე, ჯავახიშვილი, აბდუშელი, კარბელაშვილი, ზუმბულიძე და სხვ.

ფასები—1 მან.—50 კ.-მდის ბავშვებისთვის 50 კაპ.

დიასახლისი **კნ. დარია ანდრონიკაშვილისა**.

გამგე **ექიმი დიმიტრი ჯავახიშვილი**.

კვირას, 18 ივლისს

ქართულს სახაფხულო თეატრში

გაიმართება **შესანიშნავი ფრანგული**

ჭ ი დ ა ო ბ ა

ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით ჩამოსულია 20 მოჭიდავე ფალავანი.

კვირას იჭიდავებენ სამი წყვილი ფალავანი

ადგილების ფასი (30 კაპ. 2 მან.)

ყმაწვილებისთვის ხელმისაწვდომია.

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს.

საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს. (3—6.—1)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კატოლიციზმი"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—19)

გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის ხელის მომწერთა

საყურადღებოდ

უკანასკნელად ვსთხოვ გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხვედრი ფული ათას ცხრაას ათი წლის მეორე ნახევარისა თავის დროზე არ შემოუტანიათ, დააჩქარონ მისი შემოტანა.

ქუთაისის აგენტის ისიდორე კვიცარიძის მეუღლე ნიფადორა კვიცარიძისა. (3—2)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—109)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—22

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. შეხკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—24)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ე)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—20)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანიძის ქ., მღვდ ქიქოძის სახლი. (0—უ.—228)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—168

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლებისა

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—37)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

დეპეშები

(ცნობა დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი.

საზღვარ გარედ.

ბერლინი. რადგან მეტი ხშირი შემთხვევაა უბედურება ჰაერში ფრენის დროს, გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს დაარსოს ჰაერში ფრენის უწყება, რომელსაც დაკისრებული ექნება დირიჟაბლებისა და ჰაეროპლანების გაშინჯვა და გამოცდა. გუშინ მოხდა პირველი თათბირი ამ საგანზე. საზოგადო სამუშაოთა სამინისტროს წარმომადგენელთა გარდა დაესწრენ ჰაერში ფრენის საზოგადოებათა წარმომადგენელნიც.

პარიზი. ჰავასის სააგენტოს სტამბოლიდან აუწყებენ, რომ სიმართლეს მოკლებულია ხმა—ოსმალეთ-საფრანგეთ შუა ტუნისში მომხდარ ინციდენტის შესახებ. ტრიპოლის გუბერნატორმა მოახსენა, მხოლოდ საფრანგეთის რაზმის ტუნისის ბედუინებთან შეტაკების შესახებ. ბედუინები ოსმალეთის ქვეშევრდომნი არა ყოფილან.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში სტატს-სეკრეტარის ამხანაგმა დაასაბუთა ინდოეთის ბიუჯეტი და განაცხადა ტიბეტის საკითხში ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა ჩინეთს არ გადაუხვიოს ინგლის-ტიბეტისა და ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულებით. ჩინეთმა თანხმობა განაცხადა. ინდოეთის პოლიტიკურ ხასიათის მოძრაობის შესახებ მან სთქვა, რომ უწესოებას მალე მოეღება ბოლოო. ამ უკანასკნელ ექვს თვეში ემჩნევა საქმის გაუმჯობესება, მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობს ყოველ გვარ აგიტაციის წინააღმდეგ. ბოლოს მან განაცხადა, რომ ავღანისტანის ემირმა გაგზავნა წარმომადგენლები იმ კომისიაში, რომელიც შეიკრიბა სიმლაში სხვა და სხვა საპროგრამო ხასიათის საკითხების განსახილველად. ავღანელების საქციელი იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საკითხი მალე გადაწყდება.

სანპიეტრო-ვერნოტიკო. მოვიდა მთავრობის კომისარი სხვა და სხვა გამოძიებათა მოსახდენად. 600 მეხოვრები მიუცვივდა კომისარს და ქვები დაუშინა, კარაბინერებსაც სროლა აუტეხეს. საპასუხო სროლის დროს მოჰკლეს 2, დასჭრეს 5 კაცი.

მელბურნი. მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონ პროექტი მუშებსა და დამქირავებელ შორის ატეხილ დავის გადასაწყვეტად სამედიატორო (სამართალი) ლოების დაწესების შესახებ.

ჰ ა ე რ შ ი ფ რ ე ნ ა.

პეტერბურგი. სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბი სექტემბრის დამდეგს მართავს ავიაციონურ კვირას მხოლოდ რუსი ავიატორების მონაწილეობით. კლუბის განკარგულებაშია 53,000 მან., პრიზებითვის, ამის გარდა იმედი აქვთ სამხედრო და საზღვაო უწყებების პრიზებისა ქალაქის თვითმმართველობებისა და ბანკებისა.

პოლტავა ორგანიზაციონურ-დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა პოლტავაში ჰაერო-კლუბი გახსნან.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. 13 ივლისს გარდაიცვალა მწერალი სლავიანოფილი კავალერიის გენერალი ალექსანდრე კირეევი.

ხარკოვი. გარდაიცვალა უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი მედიკური ფაკულტეტის დეკანი სლავიანური მინერალურ წყლების დირექტორი კუზნეცოვი.

კიევი. კომერციული ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა საქონელთცნობის მუზეუმთან საწარმოვო საგნების პერიოდული გამოფენები გამართოს ხოლმე.

ჰელსინგფორსი. სენატმა გაშინჯა რკინის გზების პროექტი, რომელსაც უნდა პეტერბურგი შეერთებინა კორელიასთან თანახმად 1904 წლის უმაღლესი ბრძანებისა, უნდა გამხდარიყო სტრატეგიული მაგისტრალის პეტერბურგ-ნეიშლოტი-ნიკოლაისტადის პირველ ნაწილად. გზა გაივლის სადგურ ხიტლის ახლო კეკსგოლმსა და კივინეიმზედ პეტერბურგის მაზრის საზღვარზედ მდებარე დაბა რასულამდე, ან ასცდება კეკსგოლმსა და პირდაპირ კივინეიმზე გაივლის რასულამდე. ამ გზის გასაყვანად ისარგებლებენ პეტერბურგ-იმატრის განზრახული ელექტრონული გზით.

კიევი. ზვენიგოროდის საბჭო შუამდგომლობს სავაჟო გიმნაზიის გახსნის შესახებ, რომლისთვისაც გადასდო 60,000 მ.

პეტერბურგი. სენატორი გარინის განკარგულებით დატუსაღებულია მთავარ სანტეინდენტოს სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი აკიმოვი და მისი თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ფოკეგანგი.

ხარკოვის გუბერნიაში უმაღლესად დამტკიცებული კომისიის მიერ გაგზავნილია უფროს საექიმო ინსპექტორის სამმართველოს საქმის მწარმოებელის თანაშემწე ფილარეტოვი იმ პირობების გამოსარკვევად, რომლებიც ხელს უწყობენ ხოლერის გავრცელებას ზოგიერთ მაზრებში და იმასთან საბრძოლველად ენერგიული ზომების მისაღებად.

კირეევს კუბო დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მშვენიერი გვირგვინით შეამკო.

სტარაია რუსსა. ელლინთა დედოფალმა სასახლის მოხელეთა თანხლებით საერობო პრაქტიკული ფერმერის სკოლაში მოსწავლე ქალების ხელ საქმე დაათვალიერა. დედოფალს თან ახლდა საერობო გამგეობის უფროსი კარცოვი და სკოლის გამგე ლიპოვიჩ-ზოსიმი. დედოფალი სასახლეში წავიდა.

ოდესსა. აღმოაჩინეს შანტაჟისტების ორგანიზაცია, რომელიც ყალბი ოქროს და ვერცხლის ნივთებს ასაღებდა. დამნაშავენი დაიჭირეს.

კალუგა. გამიჯვნის ნაწილის მთავარი სენატორი ჩაპლინი მოვიდა სამუშაოს დასათვალიერებლად.

ოდესსა. საერობო სამმართველო სასწავლო წლის დამდეგს მაზრაში

18 სკოლასა ხსნ-ს, რისთვისაც 7,000 მანეთია გადადებული. სახალხო განათლების მინისტრთან შუამდგომლობენ, რომ დამატებითი ხარჯი იმან გადაიხადოს.

ტრიესტიდან მოვიდა პირველი გზობა ავსტრიელ შაქარის ფხვნილისა.

ჰელსინგფორსი. აბოს გობგერიხტმა გაამართლა გაზეთ მონდაგენის რედაქტორი, რომელსაც ბრალდებოდა იმპერატორის შეურაცხყოფა.

ეკატერინოდარი. არმავირიდგან ცნობა, ვითომ ნავთს ამოეხეთქოს ხანდიჟენის სტანიცაში სიმართლეს მოკლებულია.

კიშინევი. სასამართლომ დააკმაყოფილა ვარტიკის სამკვიდრობელის მეორე მაძიებელი გენერალ მიშალევსკის ცოლი ოთხმილიონიან დავის უზრუნველყოფის შესახებ.

გელსინგფორსი. გენერალ-გუბერნატორმა პასუხის გებაში მისცა „კარიალის“ რედაქტორი, რუსის არმიის შეურაცხმყოფელი წერილის დაბეჭდვისა და საიდუმლო სამხედრო ზომების გამჟღავნებისათვის. ამ წერილის გადაბეჭდვისათვის პასუხის გებაში კიდევ 18 გაზეთია მიცემული.

ოდესსა. შავი ჭირით ავად გახდა და გარდაიცვალა მეპურე.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერის მოძრაობა: 5 ივლისიდან 11 ივლისამდე ტავრიდის გუბერნიაში ავად გახდა 420, მორჩა 55, გარდაიცვალა 188, ავად არის 719. ეპიდემიის დაწყებიდან ყაზანის გუბერნიაში 14 ივლისამდე ავად გახდა 328, მორჩა 55, გარდაიცვალა 58. ჰირიატინის მაზრაში ავად გახდა დოქტორი კაპლანი, ხოლოტონოშსკისაში — მოწყალების და, კრემენჩუგისაში—სანიტარი. ტავრიდის გუბერნატორი—ნოვიცკი ყარასუბაზარში წავიდა ხოლერის წინაამდეგ ზომების მისაღებათ. ყაზანის გუბერნიის საერობო საგანგებო კრებამ დაადგინა სთხოვოს შავჭირთან მებრძოლ კომისიას 200000 მანეთის გადადება ხოლერასთან საბრძოლველად. კენიგზში ავადმყოფობამ მასსობრივი ხასიათი მიიღო. ხარკოვში სამხრეთ რკინის გზების გამგეობამ ხოლერის 5 ბარაკი გახსნა.

პეტერბურგი საააგენტოს ცნობით ხოლერით პეტერბურგში ავად გახდა 54, გარდაიცვალა 14, მორჩა 5, ავად არის 310 კვირის განმავლობაში გომელში ავად გახდა 3, მაზრაში ავად გახდა 48, გარდაიცვალა 9. როგაჩევის მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2. ჩერიკოვის მაზრაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3. ორიოლში ავად გახდა 94, გარდაიცვალა 36. კენიგზში ერთი გახდა ავად. სამარო—ზლატოუსტოვის რკინის გზის სადგურ აშაზედ მატარებლიდგან ჩამოუღიათ ერთი ავადმყოფი. უფაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2. ბელებეევის მაზრაში გარდაიცვალა 1, მენზელინსაში 15, გარდაიცვალა 7. მოსკოვში მეორე შემთხვევა იყო ხოლერისა. ჩელიაბინსკის მაზრაში ავად გახდა და გარდაიცვალა 9. პოლტავის გუბერნიაში 62 ადგილას არის ხოლერა, მოქმედობს 25 სასანიტარო რაზმი. გზათა ოლქის უფროსი თავის ბრძანებაში წინადადებას აძლევს გემების პატრონებსა და უფროსებს, რომლებიც კი კიევის ოლქის წყლებში დადიან, სასტიკად აასრულონ სანიტარული წესები. დამნაშავენი დაისჯებიან სამი თვით ციხეში დაპატიმრებით ან 300 მან. ჯარიმით.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალება.** ტფ. ქალაქის მოურავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალებამ მცხოვრებთა შორის გულწრფელი მწუხარება გამოიწვია. განსვენებულს მიაბარებენ მიწას კვირას, 18 ივლისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. ცხედარს სახლიდან (ელისაბედის ქუჩა) დილის 9 საათზე გამოასვენებენ კიროჩნი ქუჩითა და გოლოვინის პროსპექტი და სიონის ტაძარში მიასვენებენ. წირვის შემდეგ პუშკინისა და მიხეილის ქუჩით წაასვენებენ დიდუბეში, სადაც მიწას მიაბარებენ.

გუშინ თავ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის გამგეობას. კრებამ ერთხმად დაადგინა 1) გამოეცხადოს თვითმმართველობის სახელით თანაგრძნობა განსვენებულის ოჯახობას, 2) შეამკოს განსვენებულის კუბო ვერცხლის გვირგვინით წარწერით: „ტფ. მცხოვრებთა ნამდვილს მეგობარს და კეთილშობილ მოქალაქეს ტფილისის ქალაქის მოურავს ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილს ქალაქ ტფილისიდან, 3) დასამარხი ხარჯი თავის თავზე მიიღოს, 4) აღძრას შუამდგომლობა ნება დართონ განსვენებული დიდუბის ეკლესიის გალავანში დაასაფლაონ, 5) მოიწვიოს 15 ივლისს საღამოთი შეერთებული კრება ხმოსნებისა, თავად-აზნაურობისა, ვაჭრებისა, სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისა განსვენებულის დამარხვასთან შეკავშირებულ საკითხების განსახილველად.

დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად. დღეს გლოვის ნიშნად ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებებში მუშაობა მხოლოდ შუადღის 12 საათამდე იქნება.

ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთ გადასწყვიტეს თავიანთ ჯამაგირიდან ფული გადადონ თავ. ჩერქეზიშვილის სახელობაზე, ტფ. საშუალო სასწავლებელში ერთი სტიპენდიის დასაარსებლად.

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე ტფ. გუბერნატორის თაოსნობით პანაშვიდი იქმნა გადახდილი განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრენ საგუბერნიო სამმართველოსი, ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიის მოსამსახურენი და სხვანი.

გუშინ საგანგებო კრება ჰქონდათ ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობის წევრთ. დაადგინეს: 1) თანაგრძნობა გამოეცხადოს განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის ოჯახობას, 2) ცოცხალ ყვავილების გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო და 3) პანაშვიდს დაესწრონ გამგეობის ყველა წევრნი.

ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ცოცხალ ყვავილების გვირგვინით შეამკონ განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის კუბო.

ქალაქის მოურავის თავ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ სხვა და სხვა ადგილიდან დიდძალი თანაგრძნობის დეპეშა მიიღო.

კვირას, 18 ივლისს, თავ. ჩერქეზიშვილის დასაფლავების დღეს გლოვის ნიშნად ტფილისში ქალაქის ყველა დაწესებულებანი დაიკეტება გარდა სამკურნალოებისა.

გუშინ ექიმებმა გასჭრეს განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის გვამი და აღმოჩნდა, რომ საშარდე ბუშტში ქვა ჰქონია და იმას გამოუწვევია შარდის შეხუთვა.

◆ **საზარელი მკვლელობა.** 14 ივლისს ტფილისში საზარელი მკვლელობა მოხდა. ვიღაც უცნობებმა მოსკოვის ქუჩაზე მე № 9 სახლში თავი მოსჭრეს ექიმს ალამალოვს. როგორც გავიგეთ, საქმე ასე ყოფილა: 14 ივლისს ექიმი ალამალოვი ავადმყოფის სანახავად წაუყვანია ვიღაც უცნობს და მას შემდეგ იგი დაკარგულა. ამავე დღეს ღამის პირველ საათზე ალამალოვი თავმოკვეთილი უპოვიათ ზემოხსენებულ სახლში, რომელიც ნაქირავები ჰქონიათ ქალსა და ერთს ახალგაზრდა კაცს. უცნობნი სახლიდგან სადღაც გამქრალან და იქ უპოვიათ: სხვა და სხვა ქაღალდები, ხანჯლებით, საიჯახო სტამბა ბეჭედი, დამბაჩა, და ერთი კალათა, რომელშიც იდო ალამალოვის თავი. როგორც ეტყობა, ბოროტ-მოქმედთ მაშინ მოუჭრიათ ექიმისთვის თავი, როდესაც რეცეპტსა სწერდა. ბოროტ მოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

◆ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 14 ივლისს ტფილისში ხოლერით ავად გახდა ცხრა კაცი. მათი გვარები: პლატონ სარტლაძე, ანნა ალიავერდოვისა (გარდაიცვალა), სტეფანე ნეხოროშევი (გარდაიცვალა) სვიმონ შინკა (გარდაიცვალა), ევდოკია სტარიგინი, პრასკოვია მაიოროვისა, ნატალია გრეცკაია, ვასილი შირიაევი და ანდრია ჩერიაჩიკი.

◆ **ნამესტნიკის წინადადება.** როგორც ამბობენ კავკასიის ნამესტნიკის გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა წინადადება შეიტანა კავკასიაში საგანგებო დაცვის წესები ეხლავე მოიხსნას.

◆ **სომხეთა კათალიკოზის გამგზავრება** გუშინ, 15 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისიდან ეჩმიაძინს გაემგზავრა სომხეთა კათოლიკოზი.

◆ **გადასახლებულის შეპყრობა.** 14 ივლისს სასახლის ქუჩაზე მაძებარ პოლიციის აგენტებმა შეიპყრეს ალაჰვერ ალი ყული-ოღლი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი.** ტფ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 14 ივლისს დილის ცხრა საათამდე, თბილისში ხოლერით ავად გახდა 8 კაცი, ხოლერის ნიშნებით 6. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 74 ავადმყოფი, მიემატა 9, მორჩა და გამოეწერა-3, მოკვდა-3, დარჩა 77.

◆ **ძილში სიარული.** 14 ივლისს საღამოს 6 საათზედ გურჯაანელი ივანე ზაქარაშვილი, რომელიც გონჩარნი ქუჩაზედ № 22 სახლში სცხოვრობს ძილის დროს, სომნამბულიზმის ზეგავლენით, გამოვიდა თავისი ბინიდგან, ფანჯრიდგან შეუმჩნევლად შევიდა დავით თუმშალოვის სახლში, თავისი სახლის გვერდზედ, გასულა აივანზედ და სახლის კარნიზზედ გაუვლო, საიდგანაც ჩამოვარდა და მხოლოდ მაშინ გაეღვიძა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსის ჩამოსვლა.** საქართველოს ეგზარქოსს ინნოკენტის თბილისში მოელიან 15 აგვისტოსთვის, როდესაც სიონის ტაძრის დღესასწაულია. დღესასწაულის შემდეგ ეგზარქოსი კვლავ სოხუმში გაემგზავრება.

◆ **ავჭალის ცხენის გზა.** ავჭალის ცხენის გზის გადაკეთება საელექტრონო ტრამვაიდ დაიწყობა აგვისტოში. დირექცია ფიქრობს, რომ სამუშაოს ამ წლის ოქტომბერში დაათავებს, რომლის შემდეგ ავჭალის ქუჩაზედ ტრამვაის მოძრაობა დაიწყება.

◆ **მოსამსახურეთა რეკომენდაცია.** შინა მოსამსახურეთა ზნეობრივ თვისებათა და ავკარგიანობის დასაფასებლად ქალაქის შრომის ბირჟამ შეიძინა წიგნები, სადაც აწერილი უნდა ჰქონდეთ იმ მოსამსახურეთა ჩვეულება — ხასიათი, რომლებიც შრომის ბირჟას საშუალებით შოულობენ ადგილებს. ეს აღწერილობა მოსამსახურეთა სარეკომენდაციოდ უნდათ.

◆ **ბაღაჯის დეზინფექცია.** რადგანაც ბევრი უთანხმოება ხდება თბილისში რკინის გზით მომსვლელებში ბაღაჯის დეზინფექციის გამო, დაადგინეს ეხლა მთელი ბაღაჯ დეზინფექცია აღარ მოახდინონ ხოლ მე და დეზინფექციის დროს 190 წელში დამტკიცებულ ინსტრუქ ციო წესებით ისარგებლონ.

◆ **ხოლერა ქუთაისის გუბე ბერნიაში.** ქათურაში და სო უწერში (რაჭის მაზრა) ორი ხოლ რით ავადმყოფობის შემთხვევა ყ ფილა. ავადმყოფთა განავალი მედ კურ სამმართველოს ლაბორატორ აში გაიგზავნა საანალიზოდ.

◆ **სახლის პატრონთა საყურ დღებოდ.** დადგენილია აიძულ ყველა სახლის პატრონები, რ სახლებში უსათუოდ დაუწვავი კ იქონიონ ყველა ბინის დამქირა ბელთა საერთო ფეხის ადგილებ სადეზინფექციოდ. რაც შეეხ ცალკე ბინების კლოზეტებს, იქ უნდა იყოს პირდაპირ მილიდ გაყვანილი წყალი. ეს წყალი უნ ჯერ სპეციალურად ამისთვის დან შნულ ბაკებში გაატარონ.

◆ **ფილოქსერის კომისიის გა გზავრება.** 14 ივლისში კახეთ (სიღნაღისა და თელავის მაზრ გაემგზავრა კავკასიის საფილოქსერ კომიტეტის კომისია, რომ გამონჯ კახეთი ფილოქსერის მხრით.

◆ **ქალაქის საბანაო.** ქალაქ უფასო საბანაო ბევრს ხალხს იზ დავს. ამ ჟამად მუშაობა სწარმო ბეტონის აუზების შენებაზე ფასია საბანაოსთვის. მუშაობას ჩქარა დ თავენ.

◆ **საქველმოქმედო საღამო.** ზ ბალაშვილის სახალხო სახლის მუ კალური საზოგადოების გამგეო ნებართვა მიიღო 21 და 22 ივლ საზოგადოების სასარგებლოდ სცე ნობის გამართოს.

◆ 12 ივლისს საღამოს 8 სა ზედ სამგზავრო მატარებლის № სადგურ ყვირილაზედ გაჩერების დრ უცხოშა ბოროტგამზრახველებმა ა ჯერ ესროლეს მატარებელს, დაიჭ ჟანდარმი დეშჩენკო ტყვია მარჯვ გვერდში მოხვდა და მარცხენაში გ რა. დაჭრილი ჩქარი მატარებლით თ დისის რკინის გზის საავადმყოფო ჩამოიყვანეს.

◆ 12 ივლისს დილის 4 საათზ სამგზავრო მატარებელი № 5 სადგ რიონიდგან რომ გამოვიდა ითხმ დამეცხრე ვაგონზედ დაჯდა ყრ რომელიც სულ დაიმსხვრა. ერთი მეხი მოკვდა. მეურმე ისიდორე სირ

უიალქნოდ

(დასასრული)

ერთხელ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა..... ადამიანი თქო რომ გითხრათ ბევრი იქნება და ბავშვი კი ნამეტანი ცოტა: წვრილი, მაღალი, გამხდარი, ნამდვილი ძვალ ტყავა ადამიანი. თვალებს ის მუდმივი სევდის ბეჭედი ესვა, რომლითაც მაყურებელი სიბრალულისა და სიყვარულის თანაგრძნობით იბოჭება. თხელი, მოკლე თმა გვებერთელა შუბლს აღარ ფარავდა. უფითელი იყო, დაღლილი. გადმომცა რამდენიმე გვერდი და ძაღ დაუტანებელის თავმდაბლობით მითხრა: „თუ მოგწონთ დამიბეჭდეთ.“ დამიკრა თავი და წავიდა. ისე მომაბეზრა თავი ჩვენი ცნობილი მწერლების, „ძმა-ბიჭურმა“ ქცევამ; ისე მომაბეზრა თავი მათმა დიდებამ —აი საქმეებითა ვარ დატვირთული, მაგრამ ქართულ მწერლობას მაინც არ დავივიწყებო; ისე დახვეული ვიყავი ჩვენი ახალგაზდა მწერლების დროშა ხვეწნით მაინც და მაინც შემდეგ ნომერში მოათავსე ჩემი თხზულებაო ისე გამიწყრიდეს გული არამკითხე მფარველებმა ეს და ეს ბავშვი ნამდვილი გენიოსია და მისი ნაწერი უსათუოდ უნდა დაბეჭდოთო, რომ ეს უბრალო, მფარველთა მოკლებული დატანჯული ადამიანი, რომ მაშინვე გადავიკითხე ხელთნაწერი მომეწონა. რედაქტორს მივართვი. აიღო აქა იქ გადაიკითხა და მითხრა:

არ დაიბეჭდება.

რატომ!

რაა კაცო, არც ლექსებია არც პროზა, არც რეალისტურია, არც დეკადენტური; არც სურათებია და არც საჩქაროდ გამოხატული ესკიზი. უსახელო რამ არის.

ფასიც ამას აქვს—მივუგე მე. გაცხარებით—ავტორის ყურადღებას მწერლობის დარგები კი არ იპყრობდა, არამედ გულში რაღაც ცეცხლი ჰქონია და მისი გამოთქმა ნდომებია. შეიძლება ვერ იყოს ხელოვნურად შეკონილი მაგრამ შთაბეჭდილებას, მაინც მოახდენს მაზე, ვისაც ასეთი რამ გულში უდევის.

ორი სამი მკითხველისთვის კი არ ვბეჭდავთ ჩვენ, არამედ მასსისათვის, და თუ უმრავლესობის გრძნობას არაფერს ეტყვის, ჩვენ ნება არ გვაქვს დავბეჭდოთ.

უკაცრავათ — ყველასთვის გასაგები ნაწარმოები წარმოუდგენელია. საქმე იმაშია, რომ ოთხი ხუთი ადამიანის სულის კვეთებას უთხრას პასუხი ეს ნაწერი ნამდვილი „ადამიანის საბუთია და თქვენ მოვალე ხართ დაბეჭდოთ. ერთის ადამიანის ტანჯვა წვალებას მაინც გააგებინებთ ქვეყანას.

„მუდამ პარადოქსებით გინდა ფონს გახვიდე“. ღიმილით მომიგო რედაქტორმა.

— თქვენ კი მუდამ ვირის ყროყინი გაინტერესებთ, მივახალე რედაქტორს... დავიხურე ქუდი და გამოვედი. მერმე რედაქციაში აღარ შევსულვარ—მომწყინდა. რედაქტორი, ვისაც შეხვდება თურმე, სასაცილოდ უამბობს ჩემს გულის მოსვლას და დაცინვით უმატებს:— შეუგუებელი კაცია, ვბეჭდავ უცნობ ავტორის ნაწარმოებს და ვთხოვ პატივცემულს მკითხველს გაგვსაჯოს, ვინაა მტყუანი: მე თუ რედაქტორი, დიდად ქებმარე მოგვანილი თხზულებათა დაბეჭდვა თუ არა? ავტორის სახელი დაიკარგა, მაგრამ ნაწარმოები მაინც შევინახე: რაც შემეძლო მოვიმოქმედე.

I

რატომ?

მუსიკით, ესე იგი, ერთგვარ ხმათა თრთოლვით, შეუძლებელია აზრის გადაცემა; მუსიკის საქმეა მხოლოდ გრძნობათა აღძვრა.

როცა პირველად ვისმენდი შუმანის შეუდარებელს: „რატომ?“-ს, შემდეგი ვიგრძენი.

სულ პატარა ვიყავი; დედამ რაჭული ქადა მომცა; მივჯექ ხის ძირში და ვაპირებდი ტუჩების ჩატკბანურებას... კატა მომეპარა და წამართვა. ოჰ, რა ტანჯვა ვიგრძენ მაშინ.

რატომ?

მე და ჩემი და ერთად ვიზრდებოდით; ერთმანეთი, როგორც მახსოვს, მხოლოდ მახსოვს სამწუხაროდ, ძლიერ გვიყვარდა. დაგვპირდნენ სადღაც საცეკვაო საღამოზე წაგიყვანთო, მაგრამ მე აღარ წამიყვანეს. ჰო, რა ტანჯვა ვიგრძენ მაშინ.

რატომ?

ეგზამენი უნდა დამეჭირა. მამა სიამოვნებით ამბობდა: „ამას კიდევ დავაყენებ გზაზე და მოვისვენებო“. დედა მეუბნებოდა. „შვილო, ადრე ადგომას შეეჩვიე, თორემ შუადღემდე ძილი გიმნაზიაში არ გამოგადგებაო“; დეიდები ტანთ-საცმელს მაზომებდენ; სტუმრები „მომავალ ყმაწვილ კაცს“ მეძახდნენ; მედიდურად უყურებდი ბავშვებს, რომელთაც ჯერ კიდევ მოკლე შალვრები ეცვათ და ტიტველი მუხლები უჩანდათ: მე ხვალზეგ გიმნაზიელი ვიქნები! მაგრამ „ჩამჭრეს“ ეგზამენზე (სწორეთ რომ ძალით „ჩამჭრეს“ და არა თვითონ „ჩავჭრილვარ“). თუმცა სახლში არხეინად დავბრუნდი—არ შევიმჩნიე, მაგრამ ოჰ, რა ტანჯვა ვიგრძენი მაშინ!

რატომ?

პირველი სიყვარული, წმინდა და ნაზი ბორჯომის ცამ უეცრად გულში ჩამინათა. დიდ ხანს ვცდილობდი და თან გაურბოდი იმ მაღალ, გაბუხუნებულ, ქერა თმიან და თაფლისფერა თვალებიანის გაცნობას... ვიღირსე... მაგრამ ჩემმა რუსულმა, ჩემმა იმერულმა მიხვრა-მოხვრამ ვერ მიიზიდა, და გულ ახდილად სიცილი დამაყარა. ოჰ, რა ტანჯვას ვგრძნობდი მაშინ!

რატომ?

მთელი ჩემი სიცოცხლე მეორე კლასიდან, მგონია, ერთს დიადს აზრს ჩასცივებოდა: მინდოდა ამეხსნა მთელი კაცობრიობის მთელი ისტორია, პრომეთეოსის და ფაუსტის ხასიათი. რასაც კი გავიგონებდი, რასაც კი წავიკითხავდი,— ყველაფრიდან ვიღებდი მასალას ამ ჩემთვის საყვარელ, და მეგობარ ჭეშმარიტებისათვის; ფუტკარივით ვამზადებდი სიცოცხლის სარჩოს: გუსტავ ემრის რომანებიდანაც კი ამოვკრიბე რაღაც-რაღაცა, მაგრამ.

დავხიე წიგნი, გავაცამტვერე:

დღევანდელ დღისთვის არ იყო ქმნილი.

რატომ?

ცხოვრება მთა არის ტყე კლდოვან-ყინულიანი. მხოლოდ მწვერვალზე ჩნდება მზე და ჩრდილი; რა გულით ვეპოტინებოდი ყოველ ბილიკს, რამდენი ქაცვ ნარევი შამბი გავიარე! რამდენი ტყავი გადამძვრა მუხლებს, მაგრამ თავქვე ვვარდებოდი უფსკრულში.

ოჰ, რა ტანჯვასა ვგრძნობ.

რატომ?

გათავდა თუ არა შუმანის პიესა, გიჟივით, თრთოლვით გამოვარდი კარში. კონცერტი არ იყო გათავებული. მთელი ღამე დავეხეტებოდი და ვტიროდი. ვისაც უკანასკნელი ფული მიუცია ბილეთში, ის მიხვდება, რა ტანჯვას უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომ ქვეყანაზე საუკეთესო მუსიკალური საღამო მიატოვოს. ოჰ, რა ტანჯვას ვგრძნობდი მაშინ და ვიძახოდი.

რატომ? რატომ? რატომ?

II

„მე ცოცხალი ვარ, რადგან უკვე მოვკვდი.“

დღემდე ვმაგრობდი. ამაყად მიმქონდა თავი. დამცინავს ჩემს სახეს ვერ გაუბედავდენ შეცოდებით შეხედვას, და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა, მე არ ვიღებდი თანაგრძნობასაც.

დღეს მომწყდა წელი; აღარ შემიძლია; ტანჯვამ დამასერა გული; სული მეხუთება: აღარა მაქვს ჰაერი; მეთვლიმება: რაღას უყურო თვალის დამტკბობიც არაფერია; ვამჩნევ არავისთვის ვარ საჭირო და არავის სურს ჩემი გულში მიკვრა. შეყვარება.

მაშ შემიცოდეთ მაინც!

დამეკარგა იმედები.

მჭერმეტყველებით ვერ ვაშორებ თავს უდანაშაულო ბრალდებულს; ბრძოლით ვერ ავხსნი ბორკილს დამონებულს ერს; ყმაწვილი ქალი არ გადიკითხავს ჩემს ნაწერს და თვალცრემლიანი არ წამოიძახებს: „რა მშვენიერებაა!“ დინჯი მეცნიერი მოიყვანს ადგილებს „ერუდიცი სავსე და ლოღიკურად განვითარ ბულის“ ჩემის თხზულებიდან.

მაშ შემიცოდეთ მაინც!

ველარ დავიკმაყოფილებ დამალ ბასთან თანდაყოლილს სურვი მოგზაურობისას. ცივი ციმბირ მდიდარი ინდოეთი, თვალწარმტ ცი, დახატული, საოცნებო ვე ცია, ხელოვნების მუდმივი ქალ რომი, ქალაქთა ქალაქი ლონდონ მრისხანე სახარა, თვალუწვდენე გიმალაი და შენ, შენ ყველაზე უ რო სანატრელო სურათო ჩემი ო სვებისა, ძლიერო და ბავშსავით გუ უზრუნველო ზღვაო, ველარ განა თქვენ! ოცნებით ვერ მოგშორდ ბით, მაგრამ უნაყოფო ოცნება ხ შესაცოდია.

მაშ შემიცოდეთ მაინც!

III

ვარდისა მეტი ცოცხალი არ როგორ შეეხოს შენს გიშერ ჩებსო?! ვინ გაგიბედოს შენ სიყ რული, გარდა ვარსკვლავთა დაგინახოს?!

მინდა ფერხთა წინ ია გიფ და ხელთა მხოლოდ ანწლი მ სვრილი; წალკოტის გვირგვი ხმლით დაბრუნებულს, დაგადგამ ნა მე ფრთხილი?

მე მეშინიან, რომ სიტყვა ტ ქი ნაზს სმენას შენსს შეურაც ყოფს, და რათ გიკვირს, რომ თხელ ჯანსაღს მხედავ მოწყენი მუდამ ავადმყოფს?!

IV

გულის იარებს რომ ხელსა წაჰკ პირში რომ მეტყვი სიტყვასა მ რეს; მუდამ რომ სიცილს ცრემლ

---

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 56

მოსტყდა მარცხენა ხელი და მძიმედ დაშავდა თავში. სირაძე თბილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს.

◆ კრასნოგორის ქუჩ. № 14 მცხოვრებმა ბარბარე ისაიანცმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 12 ივლისს, როცა აივანზედ ეძინა, იმისმა გვერმა გმურჯა შაქარაშვილმა 19 წლ. კამოდიდგან ამოაცალა ოქროსა და ვერცხლის ნივთები 135 მანეთისა, რის შემდეგ იგი დაიმალაო. ჰგონებს, რომ შაქარაშვილი ქურდობის შემდეგ ალექსანდროპოლის მაზრაში წასულა.

◆ 14 ივლისს გურიის ქუჩაზედ სახლი № 50 სახურავიდგან ჩამოვარდა გიორგი სურაძის 10 წლის შვილი ვლადიმერი, რომელიც მტრედებისთვის ავიდა თურმე. ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

◆ 14 ივლისს პოლიციამ ტფილისში სამი უპასპორტო შეიპყრო.

◆ 14 ივლისს მატარებლის ვაგონის სახურავიდგან ჩამოიღეს თავ-გატეხილი გლეხი მიხეილ მერკვილაშვილი, რომელიც ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ ბათუმის სადგ. 14 ივლისს ყარაულს ბაღდასარ ხაჩატუროვს მატარებელმა მოჰკრა მარჯვენა გვერდში და სამი ნეკნი ჩაამტვრია. დაშავებული ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში ხელოვნურ მინერალურ წყლებს. ძველი ქარხნის „ვარსკვლავის“-ას (звѣзда), რომელიც აგლაბარში იმყოფება, ანალიზი გაუკეთეს. შიგ ბევრი უსუფთაობა იპოვეს, როგორც აგრეთვე ვენადის ქარხნის წყლებშიაც.

◆ 14 ივლის კარაპეტა აივაზიანცმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 12 ივლისს მიხეილ ავეტიკიანცმა ჩემი შინ არ ყოფნის დროს მოჰპარა 19 მანეთის ნივთები და დაიმალაო.

◆ 14 ივლისს საგანგებო საქმეთა მოხელემ ლ. ნ. პანოვმა გამოუცხადა პოლიციას, რომ იმისი ბინიდგან ვიღაცამ მოიპარა 2 პალტო, 80 მან. ღირებული.

მშვიდობიანი კაცთ-მოყვარეობა

(ვასილ ჩერქეზიშვილის ხსოვნას)

არიან ისეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრება ამ წუთი სოფელს განსაკუთრებულ ელფერით ჰმოსავს და ჩვენ ადამიანურ სულს სიამეს ჰფენს. ამგვარ ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა განსვენებული ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი. ადამიანის სახე ხომ იმისი სულის სარკეა. დღეს ნათლად გვიდგას თვალ წინ ჩვენგან განშორებულ მოძმის სახე, იმისი შინაგან სულიერ ვითარების ნათლად გამომხატველი. კაცთა შორის მშვიდობიანობის წყურვილი, მოსიყვარულე გული, თავმდაბლობა, ადამიანის ნამდვილი დანიშნულების შეგნებით გამოწვეული,—ყველა ეს ემჩნეოდა მუდამ ჟამს განსვენებულის სახეს და ღრმად აღბეჭდებოდა გულში ყველას, ვინც მას იცნობდა ან რაიმე საქმე ჰქონდა განსვენებულთან.

პირდაპირობა, გულწრფელობა, სიმართლის სიყვარული—ვასილ ნიკოლოზის ძის ბუნებრივი თვისებანი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ერთი შემთხვევა მოხდა განსვენებულის ცხოვრებაში, რომელიც ნათლად გვიმტკიცებს, როგორ სძაგდა მას ყოველნაირი სიყალბე, როგორი უშიშარი ქომაგი იყო იგი ჭეშმარიტებისა. ერთმა გულზვიადმა და უნიჭო პროფესორმა ლექციის დროს უდიერად მოიხსენია საქართველო და ქართველი ხალხი. ცრუ მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ მსმენელთა შორის აუდიტორიაში ქართველებიც იყვნენ, მაგრამ უეჭველად ისეთი აზრის იყო ქართველების შესახებ, რომ ისინი თავისი ღირსების დაცვის უნარ-მოკლებულნი არიანო. გაისმა თუ არა ქართველების შეურაცხმყოფელი სიტყვები, მსმენელ სტუდენტთა შორის წამოდგა ფეხზე ვასილ ჩერქეზიშვილი და ადამიანური ღირსების გრძნობით აღსავსე ცხარე პროტესტი გამოუცხადა ტლანქ მეცნიერს და გააჩერა იგი. ალალ-მართალი, ჭეშმარიტების მოყვარული გულით ეგებებოდა განსვენებული აგრეთვე ყოველნაირ პირ-ფერობის ყალბი გუნდრუკის კმევას და პირს არიდებდა ყალბად მოლაქუცე ადამიანს.

განსვენებულის მთელმა მოღვაწეობამ ჩვენ თვალ წინ განვლო. სამსახური ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, მდივნობა თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში, მწერლობა ტფილისის რუსულ პრესაში, მოღვაწეობა ქალაქის თვითმართველობაში,—აი ის ასპარეზი, სადაც იღვწოდა ვასილ ჩერქეზიშვილი,—სადაც ბევრ ჩვენგანს ჰქონდა მასთან სხვა და სხვა საქმე და დამოკიდებულება, სადაც ყველა, თავის უტყუარ ადამიანურ ალღოს შეწეობით ღირსეულად აფასებდა იმის ნამდვილ ადამიანურ პიროვნებას.

იმ დროს, როცა ადგილობრივ რუსულ პრესაში სამარცხვინო მოღვაწეობით სახელი გაითქვა „კავკაზის“ რედაქტორმა ველიჩკომ, რომელიც მძულვარებას სთესავდა სომეხ ქართველთა შორის რედაქციის მდივანმა ვასილ ჩერქეზიშვილმა ხელი აიღო საქმეზე და მიატოვა რედაქცია. ესეც შედეგი იყო იმ ღრმა ადამიანურ გრძნობისა, რომლითაც ჰფეთქდა განსვენებულის გული. ნათლად ამხილა მას, რომ კაცთა და ხალხთა შორის მძულვარება—განხეთქილება ამ გულის წმინდა წადილის ადამიანის უმაღლესი დანიშნულების, იმინი ცხოვრების უდიდესი იდეალის უარყოფაა.

ჩვენ არ გაგვიგონია არავისგან ვასილ ჩერქეზიშვილის შესახებ უდიერი სიტყვები, იმისი კიცხვა—ძაგება. ბევრი მიმართავდა ხოლმე თხოვნით განსვენებულს. მაგრამ როცა ვერ უსრულებდა ყველას სათხოვარს, მაინც იმის კეთილ სურვილს, კეთილ წადილს ყველა გულით ჰგრძნობდა.

განსაკუთრებულად დაფასდა ვასილ ჩერქეზიშვილის მშვიდობიანი კაცკოყვარეობა განვლო—მოძრაობის დროს. განსვენებული დაუღალავი ქომაგი იყო ხალხის საკეთილდღეოდ იმის ღვაწლს ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოჰხატავს ერთი უმაღლესი ადმინისტრატორის სიტყვები: სადაც ქალაქის მოურავი მეწვეოდა და განმომარტავდა ხოლმე საქმის ვითარებას მღელვარების დროს, ჩემ გულს სიმშვიდე ეუფლებოდაო.

ილია ნაკაშიძე.

პატარა ფელეტონი

ნივთთ ბატონობა

საქონლის წარმოება არა მხოლოდ იმითია ცუდი და დამღუპველი, რომ ის ხაოტიურია, თანდაყოლილი აქვს კონკურენცია და თან სდევს ამოხრებელი კრიზისები,—ისა ხრწნის ადამიანის სულსა და გონებას, იპყრობს თავისი ნაყოფით. თანამედროვე კულტურას თავისი დამახასიათებელი თვისება აქვს, რაც ნივთთა ბატონობაში გამოიხატება,—სიცოცხლე ნივთისთვის და ნივთის სახელით. ძლიერი, მტკიცე ბატონობაა!

იგი გამოსჭვივის არამც თუ იმაში, რომ თანამედროვე ადამიანი ისწრაფვის ყველგან თავისს ადგილას მანქანა დააყენოს, არამედ მომეტებულ ნაწილად იმაში, რომ იმას ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა აუარებელი სხვა და სხვაგვარი საგნებისა, ნივთებისა, ავეჯეულობათა და სხვ. გარეშე. თითონ ის სადღაც ჩაფლულა გარემოცვამთ—მოწყობილებაში, და ხშირად ძნელია მისი პოვნა ამ ფარდებისა, შკაფ-განჯინების, დივან-სავარძლების და სხვათა შუა.

ძლევა მოსილი იერიშით მიდის ნივთი ყველგან და ყველაზედ. სად შეჩერდება ამ კულტურის დამპყრობითი, გამარჯვებული წინსვლა, სად გაუწევს წინააღმდეგობას თანამედროვე ადამიანის სული, თქმა ძნელია. მონობა იზრდება, იმიტომ რომ იზრდება ნივთისაგან სიხარული, მით კმაყოფილება, მისდამი ლტოლვა-მწუხარება და სევდა.

და ამის გამო ყველგან უმაღლესს წერტილამდის ასული ძალთა ხარჯვაა ნივთთა სახელით.

თანამედროვეობაში, ნივთებით და მათი აჩრდილებით მჭიდროდ აღვსილს სინამდვილეში, არ არის სიხარული, არის მხოლოდ ქეიფი, არ არის ნათელი მზის შუქთა ფენა, არის მხოლოდ რესტორან-ლუდხანების ფარანთა ურცხვად ოპალეგე შუქი. ნივთების მომხიბავი სუნთქვა თეთრი სუდარით ეფარება ცხოვრებას, და ცუდათა ჰყარს ძველი ქვეყანა, ქვეყანა ნივთთა და მისს მფლობელთა. თანამედროვეობამ შექმნა კერპი ხავერდისა, რკინისა და შალისგან. ბურჟუაზიული მსოფლიოს საკუთარი მეფენი ჰფლობენ არა „წყალობითა ღვთისათა“, ან „ნებითა ხალხისათა“, არამედ ნავთის წყალობით. ყველაფერი მოწამლულია ლამაზ საგანთა ტკბილი შხამით. ყველა იმათ ნებას ასრულებს. უსულო აღსდგა ცოცხლის წინააღმდეგ და ნივთს დაუპყრო იგი. უსულო ნივთნი მეფობენ ცხოვრებაში და აუცილებლობის რკინის კანონით შებოჭეს და დაიმონეს ადამიანის თავისუფლება. დადგება დღე, როცა კითხვებზედ, რა არის ვარსკვლავი, რა არის ღმერთი ნიცშეს უკანასკნელი თვალ-ჩამკრავი (моргающій) ადამიანი უპასუხებს: საგანი...

ყველა ემსახურება საპირჟო აპოკალიპსის საშინელ მხეცსა და ჰქმნის იმისთვის. ადამიანთ ერთმანეთისა არა ესმით რა, კაპიტალიზმის უღელში შებმულნი ერთსა და იგივე ბაბილონის გოდოლს აშენებენ ლითონთა ნაპოლეონისთვის. ვინც დღე! ჯერ კიდევ არ შენებს—ის ხვალ დაიწყობს, რადგანაც სასტიკი და ულმობელია საგანთა ნება, და ჯერ არ არის ის ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საზარელი ქარიშხალი დიდი ბატონისა—საქონლისა.

ადამიანნი საგნებს ნებას ასრულებენ, რადგან თითონაც იმავე საგნებს წარმოადგენენ. ძველი და ახალი, ლამაზი და უშნო, იაფი და ძვირფასი საგნები! თავისუფლების ბუდის ცისფერ ფრინველისკენ მიმავალ გზაზედ უსულო საგნები აღდგინდებიან, და გამაღლებული სცემს და თრთის მათში ცოცხალი სული. მონურ შეკრების შავი ფრინველისკენ მიმავალ გზაზედ ცხოვრების ფერადობა ხუნდება, გაცივებული აღტაცების ცისფერ ქრილებზედ ენები ჰბოლვენ, ჰვარტლით ავსებენ იქაოპას, და მახინჯ, უშნო გროვად იყინებიან ზე-აღმაფრენის გრძნობები. თითონ სად არის—ადამიანი? აღარ არსებობს: საგანმა შთანთქა! ქარხნებში, მუშის ქარგასთან, სადაც კეთდება საგანი, ქანდაკდება აგრეთვე ყოველი სხვა და სხვაობა თანამედროვე ადამიანისა. ხავერდი, ჩითი, ქსოვილი ჰქმნის „თავის სახითა და მსგავსებითა“ ადამიანსა და მისს ბედსა. ქსოვილები ჰქმნიან თავისებურ დიდრონს, სუფთა და უქმს, უმაქნისო, როგორც თითონ, ადამიანებს, ჩითი-იაფს, ისეი ხალხს, რომლებიც ჩქარა ხუნდება და იცვითება.

პრეისკურანტი შეუზღუდავად ბატონობს არამც თუ გარეშე, ეკონომიურსა და პოლიტიკურს დამოკიდებულებათა სფერაში, არამედ ნატვრა-ოცნებათა და სარწმუნოების სამეფოშიც. სარწმუნოება—ეს იგივე საგნებია, მხოლოდ არა ნამდვილი, დაპირებული, ფუჭი; იგივე აბრეშუმი, იგივ ბრილიანტი, მხოლოდ აღთქმული. სარწმუნოებამ შეითვისა, მიიღო საგნების ბატონობა, ხოლო როცა ის უფრო დაიწმინდება, შეუძლიან თავისი ტაძრიდგან გასდევნოს ლალი-ალმასი და სხვა საგნები ჯავაირჩის საწვრიმალოსი, მაგრამ ის უძლურია ამოფხვრას მისი სული იქიდგან. იმას შეუძლიან გადააგდოს მხუნავი ჩითი, მაგრამ იმის ადგილას ვალდებულია—ასეთია ნივთთა ნება,—შესცვალოს წმინდა ქსოვილით.

ადამიანი—საგანი, შეურიგებელ წინააღმდეგობათაგან შემდგარი, მოპირდაპირე ნაპრებისგან შეკავშირებულ შეკოწიწებული, რომლის ბნელ სულშიც უცხო და მისთვის გაუგებარი ძალები ჰგრიალებენ, თავის „მე“-საც კი ვერა გრძნობას, ის ამბობს „მე“ და ფიქრობს „ჩემი“: ჩემი ღმერთი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი უკვდავება.

და ყველა ამათზედ—ჩემი გამოუთქმელი სევდა. **გ. ნამორაძე.**

რას ამბობს ბრემი ოფოფის შესახებ?

ჩვენი „ენა-წყლიანი“ კრიტიკოსები: ჯავახიშვილი, თავ. ვაჩნაძე და ბ-ნი კარგარეთელი სცდილობენ დააჯერონ მკითხველები, რომ ოფოფი იძახის „ოფოფ-ოფოფსა“ და არა „კუკუსა“. სახელოვანი მეცნიერი ბრემი, რომლის კაპიტალურს თხზულებას „ცხოველების ცხოვრება“ (**Жизнь животныхъ**), დღემდინ ბადალი არა ჰყავს, სხვა აზრისაა. როცა იგი იკვლევს—ოფოფის ცხოვრებას, ჩამოთვლილი აქვს ყველა მისი—ხმაურობანი; მაგრამ მათ შორის ჭაჭანებაც არ არის ხმისა: „ოფოფ-ოფოფ“. აი ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით: „დასაძახებლად ოფოფი ხმარობს ხრინწიანს, ჭრიალა ხმასა **ერირი**, რომელიც ხან და ხან მოისმის, როგორც „**შვეხი**“. როცა კარგს გუნებაზეა, იგი გაიძახის ყრუ ხმას: **კვილ, კვილ**. პეპლობის დროს მისგან ისმის აგრეთვე ყრუ ხმა: **დუპ, დუპ**. გაზაფხულზე მამალი ოფოფი წამდა-უწუმ გაიძახის ამ უკანასკნელს ხმასა; მაგრამ მკათათვის გასულიდან ოფოფისაგან აღარც ერთი ხმა აღარ ისმის“.

როგორც ამ ადგილას, ისე სხვა ადგილებშიაც ბრემი არსად არ იხსენიებს ხმაურობას—„ოფოფ-ოფოფ“. ეს ხმა მის მიერ სრულიად უარ-ყოფილია, მისთვის იგი არ არსებობს. არ არსებობდა იგი ჩვენთვისაც და დღესაც არ არსებობს, როგორც შესამჩნევი გამოძახილი ოფოფისა.

სოფელი ვარიანი, სადაც დავიბადე და აღვიზარდე, გაზაფხულობით და ზაფხულობით სავსეა ოფოფებითა; და ასეც უნდა იყოს, რადგანაც იმისთანა მიდამოები, რომელიც ვარიანს აქვს, ბრემს იდეალურს საცხოვრებლად მიაჩნია ოფოფებისათვის. ამის გამო მე ოფოფს ხშირად, ძალიან ხშირად ვხედავდი როგორც ნახნავ-ნათესში, ისე ნაკრგებზედ, და, წარმოიდგინეთ, რომ არც ერთხელ არ მსმენია მისგან „ოფოფ-ოფოფ“.

მე ვგონებ, რომ ეს ხმა არ უნდა გაეგონათ არც ჩვენს კრიტიკოსებსა. მაშ საიდან მოიგონეს? მათი აზრი უნდა იყოს დამყარებული არა ცამოცდაზე, ნახულსა და მოსმენილზე, არამედ ამისთანა სილოგიზმზე: ამ სავარცხლიანს ფრინველს ალბად იმიტომ დაერქვა ოფოფი, რომ უთუოდ **ოფოფ-ოფოფს** იძახისო. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სილოგიზმი დამალი ზომარტლად არა ღირს. და აი რა მოსაზრებით: მხოლოდ თითო-ოროლა ფრინველს დარქმევია სახელი ხმაურობის მიხედვით. ყველა სხვა ფრინველების სახელს არავითარი კავშირი არა აქვს მის ხმაურობასთანა. ერთი შინაური ფრინველი კაკანებს, მაგრამ მას ქათამს ვეძახით და არა კაკანასა. მეორე შინა-

---

თა მიქცევ და რომ დასცინი ჩემს აღმაფრენას—

ტყვილა თვალთმაქცობ — სწორედ მით გამჩნევ, რომ ჩემთან სტირი ჩემსა სატირალს; რომ ჩემთან გინდა სიმღერა ტკბილი; რომ ჩემგან ელი ბედნიერებას.

ხასიათს იცვლი!... განა ბავშვი ვარ—ვერ შეგამჩნიო, ამპარტავანო, თუ რისთვის სხვებთან ია ხარ ნაზი, ჩემთან კი ეკლით მოცული ვარდი.

და ნუ მომესწროს, რომ შეგეცვალოს ეს მკაცრი ქცევა ტკბილ საუბარად; ოხ, ღმერთმა ნუ ქმნას, რომ მხოლოდ სიტყვას. რასაც შენ ვგრძნობ მთლად დაეხატოს?

V

ალბომში.

(ექსპრომტი)

სხვა გვარ მელანში ვაწებდი კალამს და მაშინ ვწერდი ასეთს ექსპრომტებს, ეხლა კი მხოლოდ მეხსიერება გრძნობის მაგიერ მე მიკარნახებს.

ნაძალადევს ლექსს—გულწრფელს პროზას და სალამურსა თეთრს ქაღალდს ვარჩევ. გულ გატეხილი ვარ, ქალბატონო! ეჰ, შვენებას რა არ შეუძლია?!

დანჯღრეულ მღერას ჰარმონიათ მხნის; ნოტივ ბნელეთის დედოფლის კოშკათ; ძლივს მბჟუტავ სანათს მზეთ გამოაჩენს!

ანგელოზთ გუნდი ჩვენ წინა იმღერს; კრება ვარსკვლავთა გზასა გვიჩვენებს; ტალღებთა შორის გაცურავს ნავი; რაში მყინვარსა ჩვენ გადაგვაფრენს.

ლოუბელი მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ მოტრფიალეთ არ დაჰკრას მზემა; ქარის გუგუნი—ჩვენი ფუჩუნი, რომ არ შესძლოს სხვის უცხო სმენამ.

VI

(პუბლიცისტურ წერილიდან

ნუთუ, მკითხველო, არ მოგწყინდა ეს წერილები. მით უმეტეს, მგონი, იცი, უკეთესი წერილების მოწოდება შემ ძლია, მაგრამ... მაგრამ შენ თვითონ არ მეხმარები, შენ თვითონ არა სცდილობ საშუალება მომცე, უფრო გულწრფელად გამოგელაპარაკო.

მკითხველო, ვერაფერს ვერ დამაბრალებ. რამდენჯერ ყოფილა, რომ გულახდილათ შენთვისვე სასარგებლო წერილი დამიმზადებია, მაგრამ... მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ წაგიკითხავს. რაღა თქმა უნდა, რომ შენ თვითონ არ გაქვს სურვილი თვალები გაახილო, არ გინდა წმინდა ჰაერით ისუნთქო, თორემ ჰაერი ისე გავრცელებულია, ძალა შენი იმოდენაა, რომ ერთს წერილს კი არა ბაზალეთის ტბას ჩვენს სანუგეშო აკვანს ამოგლეჯდი.

ვფიცავ სამშობლოს, ესოდენ ტანჯულს
ჩაბალახ ახდილს განაწამებსა,

რომ მე ყოველთვის შენკენ ვისწრაფვი და რა ვქნა, რომ ჩვენ შორის დიდი გზაა; რას გაქვავებულხარ ერთს ადგილას? გადმოდგი შენც ფეხი ჩემკენ და ჩავჰკიდოთ ერთმანერთს ხელი. თუ იმედი გაქვს, რომ მთელ გზას მე გამოვივლი და ჩაგეკონები გულში! მართალია, ვივლი, მაგრამ გზაში ამოგხდება სული და ერთმანერთს ვეღარ შევხვდებით... იქნება ოდესმე გზაში მნახო ყვავ-ყორანი გულზე მაჯდეს.

ბულბული შემოდგომაზედ უსტვენს და უყეფს გალიაში მჯდომ მეგობარ ბულბულს, რომელსაც მოსწონს მყუდროება თვისი. თავისუფალი ბულბული შეაკვდება გალიას. სხვები გაფრინდებიან; სხვა მაარეს სტვენით დაატკბობენ. მყუდრო, წყნარ ბულბულს ოხვრა, ხვნეშში უსიამოთ ამოსძვრება სული. არ ერჩივნა გალიის რკინისთვის შეეხეთქა მკერდი და უკეთესი მომავალის ძებნაში დაელია სული?

VII

(წერილიდან).

დიდი ხანია პასუხი არ მომიცია. პირველი შეხედვით ასეთი ქცევა უყურადღებობის ნიშანია, მაგრამ პირიქით: არ ვიცოდი, რა გვარათ გამომეთქვა მადლობა ხსოვნისათვის, როგორ გამომეხატა მთელი ჩემი აღტაცება. ისე მივეჩვიე დავიწყებას, რომ დიდი ხანი დამჭირდა, სანამ გამოვერკვიე სიხარულიდან. წერილის მიღებისთანავე შემეძლო ბევრი სისულელე მომეწერა. ეხლაც, მგონი, ვცოდე ჭკუა-გონებას. მაგრამ არაფერია!

აკი მოგახსენებდით, რომ პეტერბურგი ვერ დაგაკმაყოფილებთ—მეთქი. ყოველს ჩიტს თავისი ბუდე უყვარს — მხოლოდ ბაყაყისთვის სულ ერთია რომელ ტბაშიაც უნდა მოხვდეს. ნახვამდის!

VIII

მშვენიერი დრო დადგა სწორედ: ისეთს სიგლახეს და სიწამხდრეს ვერ მოიგონებს კაცი, რომ მისი შესამშვენიერებელი სიტყვა და ფაქტი არ მონახონ. მეგობრის ცოლს გაუპატიურებას უპირებდი; გამოგაგდეს სახლიდან, ყველამ მიგიხურა კარები ცხვირის წინ—თქვენ თამამად შეგიძლიანთ წარმოსთქვათ: „რა უყოთ, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც კი არ იღებდენ ზოგიერთ ოჯახებში, მაგრამ შთამომავლობა თაყვანსა სცემს მისს ნაშთსაო“. სრულიად დაივიწყეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ბინძური თავის დღეში არ ყოფილა.

ლანძღვა-თრევისთვის ვირის აბანოში ჩაგსვან, არ გატყდე გულით, არ შეიკეთო—შენ მართალი ხარ—შენი მოძმე ჯორდანო ბრუნო, სავანმოხდილი, რილეევი: ხომ თავის რწმენისთვის განიცადეს ტყვეობა და სიკვდილიც კი.

თუ ვინმე ბალღმა მექრთამეობა გიკიჟინოს სიცილით უპასუხე: ბოკლი, ტიერი, ჰეინე-თქო! საკმაოა მარტო სახელები.

ნიჭი არ მოგცა ბუნებამ, უზენაესმა „დედა ენიდამ“ „ბუნებისკარზე გადასულიყავ“, რა სალაპარაკოა: თქვენ ხომ ღარჭყავით მეცნიერება, ვით ბრუნეტიერმა, თქვენ ხომ იზიარებთ აზრს: ignoramus et ignorabimus. თქვენ შეგიძლიათ თამამად სთქვათ, რო ბუნება, მისი კანონები ისეთივე მიუწდომელია კანტისთვის, როგორც გოგია მეჩანგურესთვის, რადგან სმენის თვისების შესწავლა შეუძლებ ლიაო. მეცნიერება ზღაპრად მონათლე და ზღაპრები შენ გამოიგონე.

იქვენ ჰკვიან კაცად ჩაგთვლიან და კამათსაც ვერავინ გაგიბედავს.

IX

დიდ ხანს ვერ გასტანს ეგ ჩვენი ლოცვა: ბარბაროსთ გუნდი გვიახლოვდება; ჩვენ რომ გამოგვახრჩოს წმინდა ტაძრის დაწვასაც კი არ მოერიდება.

მაგრამ გავიდეთ ტაძრიდან, შევხედოთ გუმბათს უკანასკნელად და ცრემლისა წილ მხიარულ ჰანგზე დავმღეროთ ტკბილად, გულ-შეურყევლად.

თითქოს მივდივართ არა სამარად, საქორწილოდ მიგვყავდეს და ან ამა: გასახსრებლად წმინდა ტაძრისა არ მივცეთ ხელში მტერსა მიზეზი.

წმინდა ტაძარსა როს ჩვენ მოვწყდებით აღდგენის კიდევ ჰქონდეს იმედი.

X

(თარგმანი).

მშობელო მხარევ! საყვარელო ქვეყანავ! ვერაფერში დაგეხმარები. შემიძლია მხოლოდ შენ დაგტირო წყვდიადს: უკუნის ღამეში.

ცრემლთ ფრქვევით გავყვები მხოლოდ, მკაცრის ბრძოლის დროს დაღუპულ გმირთა, ჩაუმქრალის რწმენით შემიძლია მხოლოდ გისურვო განათებული დილა?

მხოლოდ იმედით შემიძლია ვიცხოვრო, როცა დაქანცული გული კვნესის; ღრმა სევდით მიყვარხარ მხოლოდ, ჩემო მშობელო მხარე!

XI

ქალი.

კლდეთა ნაპრალში, სალს კლდეებს შორის სიცივისაგან შეკრულბოჭვილი ცახცახებს თეთრ-ფიფქი თოვლი.

როცა სხივი მზისა მოხვდება, გულამოსკვნით დაიწყებს ტირილს. მისი ცრემლი ეს ჩანჩქერია. მისწრაფვით, შხეფით კისკის-სიცილით შორდება დადუმებულსა იმა ქვეყანას.

როცა ჩვენში ჩამოვა სინათლის, სითბოს ღვინითა მთვრალი, ჩაეკონება მწვანით მოსილს ველს.

ასე უმანკო მანდილოსანი ვერ უძლებს ყინვას მოთმინებისას; რაც უნდა კარი დაიხშოს გულის, მკერდსა გადუშლის თვის მოტრფიალეს და მარჯან ბაგეთ მას დააკონებს, ვინცა პირველად სისხლსა აუჩქეფს.

„სიყვარულითა მიმორბის ქარი; სიყვარულითა მოსჩქეფს მდინარე“.

XII

ვსვამ.

(მონოლოგი).

ვსვამ და მერე რა რო ვსვამ? ყოველი პატიოსანი კაცი რუსეთში სვამს და ყოველი ლოთი რუსეთში პატიოსანი კაცია—ერთი მწერლის თქმისა არ იყოს. როცა ჩავუკვირდები ჩვენს გონებრივს სიღარიბეს და ზნეობრივს სიღატაკეს, როცა ყოველივე ადამიანურს უფლებას გათელილს წარმოვიდგენ, როცა ჩვენს მუდამ მყრალ მორევს ცხოვრებისას უნებურად დავეწაფები—მომიტევე მთვრალი ვარ და აზრებს ერთმანეთს ხეირიანად ვერ ვაბამ—ძალა უნებურად მიგიზიდავს ღვინო თავისი ძალით, რომელსაც შეუძლია დაუვიწყარ გულმომკლავი სინამდვილე, ოცნებას მიგცემს ან დავიწყებას.

ღვინო, განფანტე სევდანი!

ჰო, რომ ვსვამ განა შენზე უარესი ვარ! არა, უკაცრავად, იქნებ, შენ გმირი იყო; მე კი გმირი არა ვარ: გმირის ხასიათი არ მაქვს; არ შემიძლია ადამიანებს უყურო, როგორც მოჭადრაკე თავის კაცებს და პაიკი მოვაკვლევინო მოპირდაპირეს ლაზურის ან მხედარის წასართმევათ. მეზიზღება ადამიანი; თანაც ძლიერ მეცოდება; ამიტომ არის რომ გმირულ საქმეთა მაგიერ ....ვსვამ. ვსვამ და ვსვამ.... ცოდნა კი ვინ იცის, იქნებ, შენზე მეტიც მქონდა.... სურვილიც აღ-

ურმა ფრინველმა ყიყინი იცის; მაგრამ მას ჰქვიან არა ყიყინა, არამედ ბატი. მესამე შინაური ფრინველი ყივის,—ჩვენ კი მას ვეძახით მამალსა და არა ყივილასა. ასევე უნდა ვსთქვათ გარეულს ფრინველზედაცა. გაზაფხულის მახარობელი ფრთოსანი ჭიკჭიკობს, მაგრამ მას ჰქვიან არა ჭიკჭიკა, არამედ მერცხალი; გოგმანი ფრინველი ყანაში ჭიკჭიკობს; მაგრამ მას ვეძახით მწყერსა, და არა ჭუკჭუკასა. მტრედი ღუღუნებს, მაგრამ მისთვის არავის დაურქმევია ღუღუნა, და სხვანი, და სხვანი.

ცხადია, რომ ოფოფს სახელი დარქმევია არა ხმაურობის მიხედვით; არამედ სხვა საფუძლით,—რომლით, სახელდობ? ამისი გამოკვლევა მივვინდვით ბ-ნ კარგარეთლისათვის, რომელმაც თავის წერილში მარტო სხვის ნათქვამი გაიმეორა და თავისი კი თითქმის არაფერი დაუმატა.

ჩავაკვირდეთ ერთს წამს ოფოფის იმის ხმაურობას, ბრემის მიერ აღნიშნულსა: კვედ, დეპ. ეს ხმები უახლოვდება „კუკუსა". განსხვავება შეიძლება წარმოსდგებოდეს იმისაგან, რომ ყურთა სმენა გერმანელთა და ქართველთა უნდა განირჩეოდნენ.

იმ აზრს, ვითომ ვარიანში „კუკუს" იძახდეს გუგული და ვარიანელები ამას ოფოფის ხმად რაცხდნენ, სრულიად აბათილებს შემდეგი გარემოება: გუგული ძალიან იშვიათად ესტუმრება ხოლმე ვარიანსა და თავის გუგუს თვეში ერთხელ ძლივს გააგონებს ხოლმე ვარანელებსა. ეს იმიტომ, რომ გუგული ტყის ფრინველია და ვაკე, უტყეო ადგილებს ძლიერ ერიდება. აი რასა ვკითხულობთ ბრემის თხზულებაში ამის შესახებ: ყველა გუგული („всѣ безъ исключенія кукушки") სცხოვრობს ტყეში და მხოლოდ მოკლე ხნით დასტოვებს ხოლმე ტყესა. სადაც ტყეა, იქ გუგულებიც იცის, უტყეო ადგილებს კი იგინი სავსებით უფრთხიან („совершенно избѣгаютъ"). სამაგიეროდ, ხმა „კუკუ" ყოველ დღე გაისმის ვარიანში გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ვარიანის ნახნავ-ნათესი და ნერგები სავსეა ოფოფებით, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ.

თავ. ვაჩნაძე ტყუილის თქმას აბრალებს სამს კახელს გლეხსა და იმედი აქვს, რომ მათ სასამართლოში გააშავებენ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ამ გლეხებმა მოიცალეს და თავ. ვაჩნაძეს ცილის წამება დააბრალეს და უჩივლეს, ვაი თუ გამტყუნებული და დაჯარიმებული იქნას უკანასკნელი პიროუთვნელს და შეგნებულს სამსჯავროში.

ბორჯომი. **იაკობ გოგებაშვილი.**

მატებოდა.... შეიძლება, მაგრამ (თავის გულზედ უჩვენებს) „ნუ, ნუ ახლებ ხელს, გატეხილია!"

XIII

მთების იქით.

(კარლ ბუსსედან).

მთების იქით, ცხრა მთას იქით, ამბობენ ცხოვრებს ბედნიერება. მეც სხვებთან ერთად წავედი საძებრად, მაგრამ დავბრუნდი თვალცრემლიანი. მთების იქით, შორს, შორს, იქით, ამბობენ, ცხოვრებს ბედნიერება...

XIV

მყუდრო სამეფო.

(კარლ ბუსსედან)

მყუდრო სამეფო აი ეს არის; არც ერთს კუთხესა არ ემსგავსება; ქართა ღრუბელთა ზევით არის ის —მაგრამ ვინ ჰპოებს?

ვინ ჰპოებს, მე თვით აგიხსნი ამას: ვინცა ჩვენ თვით გულის თქმით ცხოვრობს.

XV

ღმერთი რო ვიყო

(თარგმანი)

ღმერთი რო ვიყო, სუმგულზე წმინდა ჩვენ ვიქნებოდით; არ ჩაქრებოდა უკუნისამდე სიყვარულისა მხიბლავი ალი; თვალები მხოლოდ სიხარულის ცრემლსა დაღვრიდა, ღმერთი რო ვიყო.

ღმერთი რო ვიყო, ხილი უკანოთ დამწიფდებოდა; მთის მაღალიდან ოქრო თვითონ ჩამოვიდოდა; შრომა მხოლოდ ძალთა ვარჯიში იქნებოდა, ღმერთი რო ვიყო.

ღმერთი რო ვიყო, ანგელოზი ჩემო ფასდაუდებელო, შენის სურვილით გარდავქმნიდი მთელსა ქვეყანას, მხოლოდ უცვლელად შენ დაგტოვებდი, ღმერთი რო ვიყო.

პოლონელთა საერო დღესასწაული.

მკითხველთ დეპეშებიდანაც ეცოდინებათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინად კრაკოვში დიდი საერო დღესასწაული გადიხადეს პოლონელებმა. გრუნვალდის ბრძოლაში გამარჯვების სამასი წლის თავი დიდის ამბით აღნიშნეს. კრაკოვის ქუჩები ხალხით სავსე იყო. სახლები და მაღაზიები ეროვნულ დროშებით იყო მორთული. სისხამ დილიდანვე ქუჩა-ქუჩა ორკესტრები დადიოდენ და იწვევდენ ხალხს. 9 საათზე უძველესს ტაძარში გადაიხადეს წირვა და სამადლობელი პარაკლისი, რომლის დროს ჰგალობდა კრაკოვის სამუსიკო ამხანაგობის ხორო. ლვოვის ეპისკოპოსმა ბოგალერსკამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „როდესაც იაგელომ (პოლონეთის გმირი) დაინახა, რომ პოლონეთის ჯარის ერთ ფრთას თავ-გზა აებნა, შესძახა: დასდექით კედელივით, უკან ნუ დაიხევთ". ეს ჩვენი დევიზია: უნდა ვიდგეთ კედელივით, არ უნდა დავიძრათ ჩვენ მშობელ მიწიდან, სარწმუნოებიდან, არავის უნდა დაუთმოთ ენა, რწმენა ჩვენი და ქონი. არ უნდა დავიხიოთ, ვინაიდან მოახლოებულია აღორძინება—მე მას ვამჩნევ".

მატეიკის მოედანზე დილიდანვე დიდძალი ხალხი მოგროვდა. ამ მოედანზე დადგმული იაგელოს ძეგლი 50 ათასი კაცი და ქალი მოედო ქუჩებს, სახურავებსა და ფანჯრებს. დიდძალი დეპუტაციები მოსულიყვნენ სხვა და სხვა ადგილებიდან, ფერად ტანისამოსში გამოწყობილნი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდენ. უფრო ლამაზად ქალები იყვნენ გამოწყობილნი, ძველ ეროვნულ ტანთსაცმელებში. მოსულთაგან ბევრია რუსეთის პოლონეთიდან, პოზნანიდან, სილეზიიდან, დაესწრნენ შევარდნები (სოკოლები).

საპატიო ადგილები ეჭირათ პოლონეთის თავადებს (მაგნატებს) თვალ წარმტაც სილამაზის ისტორიულ ტანისამოსებში გამოწყობილთ. ძეგლის ახდის დროს პირველი სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა ბადენიმ. აი ახადეს ფარდა, გამოჩნდა ძეგლი, რომლის დანახვაზე ხალხმა ყიჟინა დაჰკრა, ორკესტრებმა საერო ჰიმნი დაუკრეს. დიდი ოვაცია გაუმართეს პოლონეთის ცნობილ როიალის დამკვრელს და კომპოზიტორს პადერევსკის, რომელიც დინჯათ წარსდგა წინ, ავიდა კათედრაზე და წარმოსთქვა სიტყვა. ამ მუსიკოსის უხვ შეწირულების მეოხებით აიგო ეს ძეგლი. პადერევსკიმ სთქვა ეს ძეგლი სიძულვილისა და რისხვის ემბლემა არაა. ეს აგებულია წინაპართა სახელოვან მებრძოლთა იმი სიყვარულით. ეს ძეგლი იმის ნიშანია რომ ჩვენ შვილები მადლობას ვწირავთ და პატივს უფასებთ ჩვენ მამა-პაპათ, რომელნიც იბრძოდენ არა ანგარებისა და პირად სარგებლობა სიმდიდრის მოსახვეჭად, არამედ—ერისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ჰღვრიდნენ სისხლს. სიტყვის გათავებისაც დიდი ოვაცია გაუმართეს პადერევსკის. ასევე შეხვდენ მადლ ნიჭიერ მხატვარს, ძეგლის შემქნელს ვივულსკის. დიდძალმა ხალხმა პოლონეთის საერო ჰიმნი იმღერა.

დღესასწაულს დემოკრატიული ელფერი ჰქონდა. შეიძლება ითქვას რომ ძეგლის დადგმას დღესასწაულობდა ხალხი. ყველასათვის აშკარა იყო თუ რა ღრმა პატრიოტიზმითაა გაჟღენთილი პოლონეთის დემოკრატია.

დღესასწაულს დაესწრნენ რუსებიც. იყვნენ როდიჩევი პოგოდინი, სტახოვიჩი და სხვა. შენიშნა თუ არა ხალხმა ისინი—სთხოვა სიტყვა ეთქვათ. პოგოდინმა პოლონურად ილაპარაკა. როდიჩევმა მიულოცა რუსულად და იმედი გამოსთქვა, გაიმარჯვებს სამართლიანობა, უფლება ხალხისა და პოლონეთის ხალხიც განთავისუფლდება, როდესაც რუსეთში უფლება და თავისუფლება გაიმარჯვებსო.

სადამო ჟამს შევარდნებმა გამართეს ვარჯიშობა. დიდძალი ხალხი უყურებდა მათ გაწვრთნილ თამაშს. მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. („Рѣчь")

შენიშვნა მეორე

მოვისმინე მეგობრის ნაამბობი და უკლებლად ჩავწერე. გადავიკითხე ნაწერები და გადავწერე. და უნებლიეთ, თითქოს რაღაც იდუმალი ძალა წინ ამძღოლოდა, გადავშალე ეკლესიასტე და წავიკითხე:

„მოვიქეც და ვიხილე მზესა ქვეშე, რომ არა სუბუქთა ეძლევა სრბა, ძლიერთა—გამარჯვება, ბრძენსა—პური, გულის ხმის მყოფელთა—სიმდიდრე, მეცნიერთა—მადლი, არამედ ჟამი და შემთხვევა შეემთხვის ყოველთავე ამათ. ვერ ცნა კაცმა ჟამი თვისი: ვითარცა თევზნი გახვევიან ბადეში და ფრინველნი მახეებში, ისე მოინადირებიან ძენი კაცთანი ჟამსა შინა ბოროტისასა, რაჟამს იგი მოუხდეს დაეცემა მათ."

წიგნიც დავხურე. ათასი გრძნობა დამეხვია გულზე და მაიძულებდა [illegible] შესახებ [illegible] სიტყვა ძე თვითონ მეთქვა. კალამმა თითქმის უნებლიეთ დასწერა შემდეგი:

შენ მოკვდი პატარა ადამიანო. ნაშრომი არ დაგიტოვებია, სახელი არ მოგიხვეჭია.

მართალია, არც [illegible] გიმღერია, არც უზენაესი ძალები [illegible] ძგრია სამოქმედოდ, მაგიერათ იდუმალს, მიუწვდომელს ჩვენს სურვილს ხორცშესხმულად გხედავთ შენში. შენს გულის სიღრმეში [illegible] ზარს ჩვენის ნაღველის და კავშირისას.

უღრმესი პატივისცემის, უსაზღვრო სიყვარულის; უგულითადესი პატივისცემის მაგიერ, თუ სადმე სამართალია, შენ უნდა ჩამოგძახონ ჟამსა მას სანეტაროს: „თავისუფალია!"

მაშინ პირველად გაიღიმებ.

მაშინ პირველად შეგეცოდება შენი თავი.

მაშინ პირველად მიგხვდები, რომ სახელი ვერ დასტოვე ქვეყნად.

ნ. ლორთქიფანიძე.

თეატრი და ხელოვნება

სურამი. პროვინციალურ დაბა სოფელში ზაფხულის [illegible] დაწყებული მაისიდან საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა მისუსტებულია, ვერ ნახავთ გაზეთს, ვერ იდგმის წარმოდგენები და სხვა ცხრა თვის განმავლობაში პროვინცია საკულტურო მუშაობის ნაცვლად საღათას ძილით არის მიცემული. მაგრამ დადგება თუ არა ცხოველ მყოფელი ზაფხული, იწყება მოლოდინები, ფუსფუსი და მცხოვრებნი ლამობენ, ზამთარში სულიერ მოთხოვნილების დანაკლისის ზაფხულობით შევსებას. უმთავრესი პიონერები გამოფხიზლებისა — მოსწავლე ახალგაზრდობაა, რომელიც კერძოდ სურამში დიდძალი იყრიბება. და შეძლების დაგვარად იწყებენ საკულტურო მოღვაწეობას. საკულტურო მუშაობათაგანია წარმოდგენების გამართვა ქართულ ენაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი ქართული დრამატიული საზოგადოება, უკანასკნელის ინიციატივით შესდგა დრამატიული დასი, რომელიც აპირებს წარმოდგენების სისტემატიურად მართვას. პირველი წარმოდგენა ამ დასმა გამართა 9 ივლისს, რომლის სიავ კარგზე მსურს გილაპარაკოთ. სურამის „თეატრის" სცენა, თუ შეიძლება მოკუნტულ და [illegible] დარბაზის ერთ კუნჭულს სცენა ეწოდოს იმდენად გაუმართავია, რომ შეუძლებელია სერიოზულ პიესის წარმოდგენა. არც დეკორაციები საამისოდ, არც ადგილი; ისე რომ რაცგინდ მოისურვოს, დრამატიული დასი ამ მხრივ უძლურია. აქირავებენ [illegible]. ნებსით თუ უნებლიეთ იდგმის [illegible] პიესები, განსაკუთრებით ვოდევილები. 9 ივლისის წარმოდგენა ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა. წარმოდგენილ იქმნა კომართელის „დრამატ. გამგეობ. წევრი" და „ბაიყუში". ორივე პიესა სცენად ცნობილი არის, რას გამოც არ საჭიროებს კომენტარიებს, ამიტომ შევუდგები მომქმედ პირთა დაფასებას. ამ დასის წარმოდგენა თბილი შეხვედრა არის სურამის სცენაზე ანსამბლის მხრივ, დეკორაციით. როლის კარგად ცოდნასთან ერთად გამოსწორდა ისიც, რომ თითქმის ყოველ მსახიობს შეეგნო როლი და ისე თამაშობდა. ამაში კი რეჟისორს უნდა უმადლოდ. თუ რამდენად თამაშში მწყობრი იყო ამტკიცებს ისიც, რომ დარბაზში მომაკვდინებელი სიჩუმე იყო. ყველა თავის ადგილას იყო, მაგრამ უმთავრესი ყურადღება მიიპყრო როსტომ ნიკვაძის მხატვრულმა თამაშობამ. ჯერ მეორე პიესის როლში („დრამ. გამგ. წევრი"), სადაც არაჩვეულებრივ წაიკითხა სიცოცხლის და სიკვდილის მონოლოგი, მერე „ბაიყუშში" რევაზ თავქარიანის როლში მართლაც რომ საუცხოო იყო. მით უფრო გასაკვირველია, რომ თურმე სცენაზე პირველად გამოდის. სიცოცხლე და მხიარულება შეიტანეს და ბევრი აცინეს მრავლად შეკრებილი საზოგადოება ვანო ალავიძემ და მურვანიშვილმა. პირველი ზედ გამოჭრილი იმერელი ლაქია იყო. თამაშობდა ისეთს (დრამ. გამგ. წევრი); მეტადრე კარგად ჩაატარა ჩუმი ამოცანის სცენა მეორე მოქმედებაში. რაც შეეხება მურვანიშვილს „ბაიყუშში" საუცხოო გასპარი იყო. ეს კი „დრამატ. გამგეობ. წევრში" ვქიქს თამაშობდა და მცირედ კოჭლობდა. არ ეხერხება დრამატიული როლები და არც უნდა აიღოს. ცოცხლად ჩაატარა სცენა ვქილთან გეჩგენიძემ, მთამბეჭდავის ოდნავ აფუჭებდა რუსულ კილოზე ლაპარაკობდა. თალიკოს როლი („ბაიყუშში") ცოცხლად ჩაატარა და ზოგ ადგილას მეტად მოხდენილად თამაშობდა ელენე დიდებულიძისა. თავქარიანის როლს ასრულებდა ორჯონიკიძის ქალი და კარგადაც ჩაატარა. ეს კი კომართელის პიესაში სუსტობდა. საჯანელსაც არა უშავდარა. კარგები იყვნენ მეჯლიბიშვილი და ერასტი ფიღავა. ეს საღამო მით იყო, სხვათა შორის საყურადღებო, რომ პირველად სცენაზე გამოვიდა და რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთა სასიამოვნოდ უნდა ითქვას, რომ მწყობრად ითამაშეს. მშვენიერი სირაჯი იყო შალიკაშვილი. ასათიანმა ვერ დაგვაკმაყოფილა. დარბაზი ხალხით მთლად გაჭედილი იყო, [illegible] ამის, როგორც ლაპარაკობენ, შემოსავალი ათ თუმანს არ აღემატება. გასავალი 6—7 თუმნამდე. წარმოდგენა ღამის პირველ საათზე გათავდა, ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

დრამატიული დასი მეორე წარმოდგენას სდგამს 18 ამ თვეს. ამზადებენ ჩირიკოვის „ებრაელებს". შემოსავალი გადადებულია ადგილობრივ კერძო სასწავლებლის სასარგებლოდ. იმედია, რომ ცნობილი პიესა და სიმპატიური მიზანი ბევრს მიიზიდავს. დრამატიულ დასს განზრახული აქვს მცირე ხანში დასდგას სახალხო წარმოდგენები გლეხებისთვის. წარმოდგენები უფასოთ და შაურიდან ექვს შაურის ფასის იქნება.

სევდა.

ხონი. ვალ. გუნიას გასტროლი. კვირას 11 ივლისს ქ. ქ. ნ. ჯავახიშვილის, თ. გოგოლაშვილის; ბ-ნ ვ. გუნიას, ვ. შალიკაშვილის და ნ. გვარაძის მონაწილეობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ჯგუფმა გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. კოსტრომიტოვის 4 მოქმედებიანი დრამა „გაზაფხულის ნიავქარი" თარგ. ვ. გუნიასი. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. ძრიელ მოეწონა საზოგადოებას ვ. შალიკაშვილი მიხეილ ხმარიანის როლში. საუცხოვო რამ იყო სერგეის როლში ვ. გუნია. მისი მოხდენილი თამაშით საზოგადოება ძრიელ კმაყოფილი დარჩა. კარგათ ითამაშეს აგრეთვე ნ. გვარამძემ და თ. გოგოლაშვილმა. პირველმა ვალდის და მეორემ ნატაშას როლი. სცენის მოყვარეთა შორის კარგი იყო ამ საღამოს ყიტკავის როლის ამსრულებელი დ. მებუკიშვილი, სცენაზე თავისუფლად ეჭირა თავი, დექსიც გრძნობით წაიკითხა. არ მოგვეწონა შ. ხონელი ბარის პლახოვის როლში. კილო ლაპარაკისა შესაფერისი არ ჰქონდა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. შემდეგი წარმოდგენები გაიმართება 17 და 18 ივლისს; პირველ დღეს წარმოადგენენ „ებრაელებს", მეორე დღეს კი როგორც [illegible] შალიკაშვილის საბენეფისოდ [illegible] გენილი იქმნება „ოჯახი". **მაღალი.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—14

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აჯეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცინშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ყველა ჩვენ აპპარატს აქვს ფაბრიკის საკუთარი მარკა

TRADE MARK. TRADE MARK.

„მწერავი ანგელოსი"

აქც. საზოგადოება

გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.

მოგვეპოვება შემდეგი მომღერალთა ფირფიტები

ადგილობრივი:

კ. ვასაძე, კარგარეთელი, ტომაშევი (ქართველი) გ. ზაგრატ, გ. ნიკოლი, კომიტას ვარდა პ. კავსაძე, მ. [illegible] ბეჟბუტოვი, ჯაბარი, [illegible] მაშადი მამედ ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა.

რუსული:

ფ. ი. შალიაპინი.
ლ. ვ. სობინოვი.
დ. ა. სმირნოვი.
ვ. პ. დამაევი.
ნ. ვ. გრიზუნოვი.
ლ. ვ. ნეჟდანოვი.
მ. ა. მიხაილოვი.
ნ. ს. ერმოლენკო-იუჟინისა.
ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი.
ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა.

ამას გარდა მივიღეთ დიდძალი ფირფიტები ქუთაისის გუბერნიაში ახლად ჩაწერილი.

მოითხოვეთ უფასოდ ამ ფირფიტების კატალოგი.

ფირფიტები 65 კ. და უფრო ძვირი.

აპპარატები 35 მანეთიდან და უფრო მეტი.

Srusunau Sazett 2 Susertimo mor 1910, for R. 26.000.

საუკეთესო გასართობები აგარაკისთვის.

АКЦ. ОБЩ. ГРАМАФОНЪ

კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ. (0—2)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.